პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 50 (9826) | კვირა, 28 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

თავისი ეროვნული პოლიტიკით კომუნისტურმა პარტიამ აღმოფხვრა შუღლი და მტრობა ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის, მჭიდროდ დააზმა ისინი ერთიან ძმურ ოჯახად, გამოჭედა თანასწორუფლებიან ხალხთა ურღვევი მეგობრობა—საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ... ძალების წყარო, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წარმატების პირობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შემოქმედებითად შრომობენ ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის სახელოვანი ადამიანები. კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ჩვენი შმობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ამომრჩევლებისადმი უპასუხებენ ახალი შრომითი აღმავლობით, საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გაძლიერებით. მათ კარგად იციან, რომ ბარაქიან მოსავალს მტკიცე საფუძველი გაზაფხულზე ეყრება.

თესვისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები დადგა. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები მოახლოვდა. თესვისათვის სასოფლო-სამეურნეო მძლავრი ტექნიკის საუკეთესოდ მომზადება, კოლმეურნეთა და მექანიზატორთა კადრების უმნიშვნელოვანეს უბნებზე სწორად, უხარიანად განაწილება წყვეტს მოსავლიანობის გადიდების ბედს. ამიტომ კარგად იქცევიან ის კოლმეურნეობები და მტს-ები, რომლებიც პირველი შეაძლებლობისთანავე აჩაღებენ მინდვრის სამუშაოს. გორის რაიონიდან გვატყობინებენ, რომ სოფელ ბერბუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო ხვნას შეუდგა ახალსოფლის მტს-ის მეხუთე ბრიგადა. საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე ტრაქტორისტები ი. ზერეკიძე და პ. გიუნაშვილი ხვნის დღიურ დავალებებს დიდი გადამეტებით ასრულებენ. მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ის ბრიგადა, რომელსაც ი. ჩიღოშვილი ხელმძღვანელობს, გაძლიერებული ტემპით თესავს ქერს. ხვნა-თესვის შერჩევით გაჩაღებაზე ცნობებია სიღნაღის, წითელწყაროს რაიონებიდან.

მიმდინარე წლის გაჭიანურებული, მკაცრი ზამთარი იწვევს ხვნისა და თესვის ვადების შემცირებას.

ამ სიძნელის დასაძლევად აუცილებელია, ჯერ-ერთი, უახლოეს დღეებში დავამთავროთ თესვისათვის წინასწარი მზადების ყველა სამუშაო; მეორე, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ხელსაყრელი პირობები და კარგი ამინდის დადგომისთანავე თვითეული მტს-ი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა მზად იყოს ხვნა-თესვის მასობრივად დაწყებისათვის.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სატრაქტორო პარკის დროულად მომზადებას მინდვრის სამუშაოებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით, რემონტზე ახალი, პროგრესული მეთოდის — კვანძური მეთოდის გამოყენებით ბოგდანოვკის, წითლის, ვარდისუბნის, სამგორის, გარდაბნის, საგარეჯოს, გურჯაანის, წყალტუბოს, სამტრედიის და სხვა მტს-ებმა ვადამდე შეასრულეს ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმები. მაგრამ სხვანაირად არის საქმე მთელ რიგ მტს-ებში. ზნაურისა და წალკის მტს-ებში ტრაქტორების რემონტი ნელი ტემპით წარმოებს. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამ მხრივ აგრეთვე შირაქის, თიანეთის, ნაფარეულის, ზუგდიდის მტს-ებში. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან ქმედითი ზომები მიიღონ ტრაქტორების შეკეთების საქმეში ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

თესვაში წარმატებას კადრები, ადამიანები წყვეტენ. რთული მანქანების მაღალნაყოფიერად, სრული დატვირთვით გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად შეძლებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მოამზადონ მექანიზატორთა კადრები. წელს საქართველოში ფართოდ ინერგება სათოხნი კულტურების თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი. ეს საქმე ჩვენში ახალია და მცოდნე კადრებს მოითხოვს.

ჯერ კიდევ მთელ რიგ რაიონებში სათესლე მასალის გამოყოფის, შეძენისა და სათეს კონდიციამდე აყვანის მხრივ აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. განა შეიძლება ითქვას, მაგალითად, თეთრი წყაროს, დუშეთის, გარდაბნის, ახმეტის, ბოლნისის რაიონების საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებზე, რომ ისინი ნამდვილად იბრძვიან კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებისათვის, როცა ამ რაიონებში სათესლე მასალა საკმაო რაოდენობით ჯერაც არ მოუმარაგებიათ? გარეუბნის, ბორჯომის, აღიგენის, მცხეთის და დმანისის რაიონებში აჭიანურებენ თავთავიანი კულტურების თესლის გაწმენდას და სათეს კონდიციამდე აყვანას.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა ორგანული და მინერალური სასუქები. სამწუხაროდ, მთელ რიგ რაიონებში სასუქების აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. ნაკელისა და სხვა სახის ადგილობრივი სასუქების დამზადება და მინდვრად გატანა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. თუ მინდვრად გატანილ ნაკელს გავანაწილებთ ყველა იმ ფართობზე, რაც მიმდინარე წლის გაზაფხულზე სასუქით უნდა განოყიერდეს, გამოვა, რომ ერთ ჰექტარზე შეტანილია 250 კილოგრამი ნაკელი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 40 ტონისა. ამ მდგომარეობას ახლავე უნდა ჩაუფიქრდნენ ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და უახლოეს დღეებში დაძლიონ ჩამორჩენა.

საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა მთელ რიგ რაიონებში მინერალური სასუქების გატანის მხრივაც. „კომუნისტის“ კორესპონდენტი ზესტაფონიდან იტყობინება მინერალური სასუქებისადმი უსულგულო, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების აღმაშფოთებელ ფაქტებს. სოფლმომარაგების ზესტაფონის სარაიონთაშორისო განყოფილებაში, რომელიც მომსახურებას უწევს ზესტაფონის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონებს, დიდძალი მინერალური სასუქები დაგროვდა. ზესტაფონის მთავარ ბაზასა და მის მომსახურებაში შემავალ რაიონებს წესრიგი არა აქვთ სასაწყობო მეურნეობებში, კოლმეურნეობები შეუწყნარებლად აჭიანურებენ სასუქების გაზიდვას, ამიტომ მინერალური სასუქების დიდი ნაწილი ცის ქვეშ არის მოთავსებული, რის გამო სასუქი ფუჭდება.

საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა.

პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები მტს-ების ზონების მიხედვით მოვალენი არიან უზრუნველყონ თესვისათვის მზადებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება, დარაზმონ მასები იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა და საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობამ დაგვისახეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1954 წლის 19 თებერვალს ამხ. კ. ე. ვოროშილოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც მიეძღვნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი წარდგინების განხილვას რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომას დაესწრნენ რუსეთის სფსრ რესპუბლიკისაგან რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ა. მასლოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ი. ნ. ზიმინი და უკრაინის სს რესპუბლიკისაგან — უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. დ. ს. კოროტჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მ. ს. გრეჩუხა, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ვ. ე. ნიუნიკი.

პრეზიდიუმის სხდომას დაესწრნენ აგრეთვე ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. პ. ნ. ლიალინი, სიმფეროპოლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნ. ნ. კატკოვი და სევასტოპოლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. ფ. სოსნიცკი.

სხდომაზე გამოვიდა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. პ. ტარასოვი, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ, გაითვალისწინეს რა ყირიმის ტერიტორიული სიახლოვე უკრაინასთან, მათი ეკონომიკის ერთობა და მჭიდრო საშეურნეო და კულტურული კავშირის არსებობა, მიზანშეწონილად ცნეს გადაცემულ იქნას ყირიმის ოლქი უკრაინის სსრ შემადგენლობაში. ყირიმის ოლქის გადაცემა უკრაინის სსრ შემადგენლობაში, თქვა ამხ. ტარასოვმა, ხელს შეუწყობს უკრაინელი და რუსი ხალხების ძმური კავშირის შემდგომ განმტკიცებას და შეეფერება საბჭოთა სახელმწიფოს საერთო ინტერესებს. ამხ. ტარასოვმა გამოაქვეყნა უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომელიც შეტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასამტკიცებლად.

შემდეგ გამოვიდა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. დ. ს. კოროტჩენკო, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ და მიაჩნიათ, რომ ეს წინადადება წარმოადგენს მეგობრულ აქტს, რომელიც მოწმობს რუსი ხალხის უსაზღვრო ნდობასა და სიყვარულს უკრაინელი ხალხისადმი. უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას მადლობით და მოწონებით შეხვდება მთელი უკრაინელი ხალხი. ამხ. კოროტჩენკომ წაიკითხა დადგენილება, რომლითაც უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დადლობას უძღვნის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოძმე რუსი ხალხის ამ დიდსულოვანი კეთილშობილური აქტისათვის და პირობა დადო, რომ უკრაინის მთავრობა ჯერეოვან ყურადღებას მიაქცევს ყირიმის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი წარდგინების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ნ. მ. შვერნიკმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებმა ამხ. შ. რაშიდოვმა და ამხ. ო. ვ. კუუსინენმა, რომლებმაც თავიანთი სიტყვებში დაადასტურეს უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის გადაცემის მიზანშეწონილობა და აღნიშნეს ამ აქტის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ამხანაგებმა შვერნიკმა, რაშიდოვმა, კუუსინენმა წინადადება შეიტანეს დამტკიცდეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი წარდგინება უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ.

განხილვის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ერთხმად დაამტკიცა ბრძანებულება რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოირსშესანიშნავი აქტია, რომელიც მოწმობს რუსი და უკრაინელი ხალხების ერთიანობისა და ურღვევი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას სსრ კავშირის ხალხთა დიად, მძლავრ ძმურ ოჯახში. რუსეთის სფსრ რესპუბლიკიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემა შეეფერება რუსი და უკრაინელი ხალხების ინტერესებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ამხანაგ მ. პ. ტარასოვის სიტყვა

ამხანაგებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად შემოტანილია საკითხი რუსეთის ფედერაციიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ.

ყირიმის ოლქს, როგორც ცნობილია, უკავია მთელი ყირიმის ნახევარკუნძული, ტერიტორიულად ეკვრის უკრაინის რესპუბლიკას და თითქოს უკრაინის სამხრეთი ველების ბუნებრივი გაგრძელებაა. ყირიმის ოლქის ეკონომიკა მჭიდროდ დაკავშირებულია უკრაინის რესპუბლიკის ეკონომიკასთან.

გეოგრაფიული და ეკონომიური მოსაზრებებით ყირიმის ოლქის გადაცემა მოძმე უკრაინის რესპუბლიკის შემადგენლობაში მიზანშეწონილია და შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს საერთო ინტერესებს.

უკრაინელმა ხალხმა დიდი ხანია თავისი ბედი დაუკავშირა რუს ხალხს. მრავალი საუკუნის განმავლობაში ისინი ერთად იბრძოდნენ საერთო მტრების — ცარიზმის, მებატონეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, აგრეთვე უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა უკრაინელი და რუსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, კიდევ უფრო განმტკიცდა ყირიმისა და უკრაინის სამეურნეო და კულტურული კავშირი.

უკრაინის რესპუბლიკის შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის საკითხს განვიხილავთ იმ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირის ხალხები აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ მოვლენას — რუსეთთან უკრაინის შეერთების სამას წლისთავს, რამაც უდიდესი პროგრესული როლი შეასრულა უკრაინელი და რუსი ხალხების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმეში.

უკრაინის რესპუბლიკის შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემა შეესაბამება დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების ინტერესებს, ხელს შეუწყობს უკრაინელი და რუსი ხალხების ძმური კავშირის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა უკრაინის კიდევ უფრო აყვავებას, უკრაინისა, რომლის განვითარებას ჩვენი პარტია და მთავრობა მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომისა და სევასტოპოლის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წარმომადგენელთა მონაწილეობით განიხილა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ.

ითვალისწინებს რა ეკონომიკის ერთობას, ყირიმის ოლქსა და უკრაინის სსრ შორის ტერიტორიულ სიახლოვეს და მჭიდრო სამეურნეო და კულტურულ კავშირს, აგრეთვე აქვს რა მხედველობაში უკრაინის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიზანშეწონილად მიაჩნია ყირიმის ოლქი გადაცემულ იქნას უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ვთხოვთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს ჩვენი წარდგინება ამ საკითხზე.

ამხანაგ დ. ს. კოროტჩენკოს სიტყვა

ამხანაგებო!

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სავსებით იზიარებს წინადადებას რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ, რომელიც აქ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ტარასოვმა მოგახსენათ, და გულითად მადლობას უძღვნის რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოძმე რუსი ხალხის ამ დიდსულოვანი კეთილშობილური აქტისათვის.

თუ გავითვალისწინებთ ეკონომიური განვითარების ერთობას, ტერიტორიულ სიახლოვესა და მზარდ სამეურნეო და კულტურულ კავშირს უკრაინის რესპუბლიკასა და ყირიმის ოლქს შორის, უკრაინის სს რესპუბლიკისათვის ყირიმის გადაცემა სავსებით მიზანშეწონილია და წარმოადგენს მეგობრულ აქტს, რომელიც მოწმობს უკრაინელი ხალხისადმი რუსი ხალხის უსაზღვრო ნდობასა და სიყვარულს.

უკრაინელმა ხალხმა კარგად იცის, რომ ძმური მეგობრობა დიდ რუს ხალხთან, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან, ნიშნავს ძლევამოსილად იაროს კომუნისტური პარტიის მიერ ნაჩვენები გზით, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების გზის, კომუნიზმის გზით.

საბჭოთა უკრაინის მშრომელებს მტკიცედ ახსოვთ და საუკუნეთა მანძილზე არ დაივიწყებენ, რომ მხოლოდ რუსი ხალხისა და ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხების მეგობრობის, დახმარებისა და მხარდაჭერის მეოხებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის მეოხებით უკრაინელმა ხალხმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკის აღმავლობაში, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებაში. ამქამად უკრაინელი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, წარმატებით იბრძვის მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი ზრდისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა ის, რომ მიმდინარე წელს უკრაინელი, რუსი და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულად აღინიშნება რუსეთთან უკრაინის შეერთების სამასი წლისთავი.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სთხოვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი წარდგინება რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის გადაცემის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას მადლობითა და მოწონებით შეხვდება მთელი უკრაინელი ხალხი.

ნება მიბოძეთ პირობა მოგცეთ, რომ უკრაინის მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ყირიმის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას და ყირიმის ოლქის მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ამხანაგ ნ. მ. შვერნიკის სიტყვა

ამხანაგო პრეზიდიუმის წევრებო, წინადადებას რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობიდან უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მოწმობს ორი დიდი სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა ძმურ მეგობრობას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ყირიმის ოლქი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც შავი მეტალურგიის, მევენახეობის, მეღვინეობის, კონსერვისა და თევზის მრეწველობის, მეცხოველეობის რაიონი, როგორც მაღალხარისხოვანი ხორბლის მოყვანის მხარე. ყირიმის ოლქი ესაზღვრება უკრაინის სსრ ტერიტორიას. ამ ფაქტმა განაპირობა ყირიმის ოლქისა და საბჭოთა უკრაინის საერთო კულტურული და სამეურნეო კავშირის განვითარება.

ისეთი უდიდესი ოლქის გადაცემა, რომელიც მდიდარია ნედლეულის რესურსებით, აქვს განვითარებული მსხვილი მრეწველობა, ძვირფასი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის პირობებში, რომელიც სამუდამოდ განთავისუფლდა კაპიტალისტებისა და მემამულეების უღლისაგან, ქვეყანაში, სადაც პირველ პლანზეა ზრუნვა ადამიანისათვის და მისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებებისათვის.

უეჭველია, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული აქტი ხელს შეუწყობს ყირიმის ოლქის შემდგომ განუწყვეტელ სამეურნეო განვითარებას უკრაინის სსრ შემადგენლობაში. ყირიმის ოლქი სულ უფრო მეტად განვითარდება ეკონომიურად, გააფართოებს ძვირფასი კულტურების — ყურძნის, თამბაქოს, ხორბლის მოყვანას, გაადიდებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობას.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ყირიმი მსოფლიო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერაა. მის მრავალრიცხოვან სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მრავალი მშრომელი მკურნალობს და ისვენებს. უეჭველია, რომ ყირიმი მომავალშიც ჯანმრთელობის პირველხარისხოვანი საკავშირო კერა იქნება.

უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემას დიდი მოწონებით შეხვდება ჩვენი ხალხი, რადგან მას ეს მიაჩნია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობის და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის მუდმივი ზრუნვის გამოვლინებად.

უკრაინელი და რუსი ხალხების ურღვევი და საუკუნო მეგობრობა საბჭოთა კავშირის შემდგომი ეკონომიური განმტკიცების საწინდარი იქნება, საბჭოთა კავშირისა, რომელიც კომუნიზმის გზით ვითარდება.

სავსებით ვუჭერ მხარს წინადადებას, რომ ყირიმის ოლქი გადაცემულ იქნას უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ამხანაგ შ. რაშიდოვის სიტყვა

ამხანაგებო! საბჭოთა უკრაინის შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემა შეესაბამება ჩვენი დიადი სამშობლოს საერთო ინტერესებს. ეს დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო აქტი ხელს შეუწყობს უკრაინისა და ყირიმის ეკონომიკის განვითარებას, კიდევ უფრო განამტკიცებს უკრაინელი ხალხისა და რუსი ხალხის ურღვევ მეგობრობას.

ჩვენმა პარტიამ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი დარაზმა ერთიან მტკიცე ოჯახად, იგი თავისი გმირული ბრძოლის ყველა ეტაპზე იცავდა და განამტკიცებდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას და გადაიქცია ეს მეგობრობა მძლავრ უძლეველ ძალად, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას. ჩვენი პარტია გვასწავლის, რომ სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს, ჩვენთვის საშიში არ არიან არც შინაური, არც გარეშე მტრები.

უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემა ხდება ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს, და გახდება ახალი მკაფიო გამოვლინება კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკისა, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის შემოქმედებითი და სულიერი ძალების ყოველი ღონისძიებით განვითარება და აყვავება. ეს შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც არ არის ეროვნული შუღლი და ეროვნული წინააღმდეგობანი, სადაც ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრება ძმდინარეობს მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის ვითარებაში მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის. შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში, სადაც ადამიანისათვის ზრუნვა საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის უმაღლესი კანონია.

მხურვალედ ვუჭერ მხარს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივ წარდგინებას უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ.

ამხანაგ ო. ვ. კუუსინენის სიტყვა

ამხანაგებო! რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი წარდგინება განსაკუთრებით დიდი ყურადღების ღირსია პრინციპულად, სახელდობრ იმ მხრივ, რომ იგი კვლავ მკაფიოდ მოწმობს, თუ რა მაღალი ღირსებები აქვს სოციალისტურ დემოკრატიას, ხალხთა ურღვევი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს ახალგაზრდობა მხურვალედ ეხმაურება პარტიის მოწოდებას

კომკავშირელები მიდიან ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირელთა მაგალითისამებრ მრავალმა თბილისელმა კომკავშირელმა, ახალგაზრდა ენთუზიასტმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს ლაშქრობაში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. დედაქალაქის საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებში ზედიზედ შედის მამაცთა განცხადებები ერთსულოვანი მოთხოვნით — გაგზავნილ იქნან სამუშაოდ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონში.

თბილისის უძველესი საწარმოს — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტში უკვე 30-ზე მეტი განცხადება შევიდა. კომკავშირელი დურგლები ვაჟა ჭანკოტაძე, შოთა სალუქვაძე, ალექსანდრე ფეიქრიშვილი, მექვაბეები ნიკოლოზ პაშჩენკო, ნიკოლოზ არზამასოვი, ხარატი შოთა ოგანეზოვი და სხვები, რომლებმაც ქარხანაში მაღალნაყოფიერი შრომით გაითქვეს სახელი, სურვილს აცხადებენ თბილისიდან პირველნი წავიდნენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდი ამოცანის შესასრულებლად.

მოწინავე კომკავშირელი მჭედელი უშანგი ყიფშიძე, რომელიც საწარმოო დავალებას ხისტემატურად 200 პროცენტით ასრულებს, კომკავშირის კომიტეტში შეტანილ განცხადებაში წერს: „დიდი სურვილი მაქვს წავიდე აუთვისებელი ყამირი მიწების დასამუშავებლად. მომუშავნია მტს-ში ტრაქტორისტად. გთხოვთ საშუალება მომცეთ უძნელეს უბანზე თავდადებული შრომით უშუალო მონაწილეობა მივიღო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის საპატიო საქმეში“.

ახალ მიწებზე წასვლის, მოწინავეთა ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილი განაცხადა აგრეთვე სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ავტოსარემონტო და ელექტრომექანიკური ქარხნების, ქარხანა „დაზგის“ და თბილისის მრავალი სხვა საწარმოს ბევრმა კომკავშირელმა. კომკავშირის თბილისის რაიონულ კომიტეტებში უკვე 600-ზე მეტი განცხადებაა შესული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

(დასასრული)

მეგობრობის ლენინურ პოლიტიკას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება.

მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში არის შესაძლებელი, რომ დიდი ხალხი — ისეთი, როგორიც რუსი ხალხია, — სრულიად უყოყმანოდ, დიდსულოვნად გადასცემს მეორე მოძმე ხალხს თავის ერთ-ერთ უძვირფასეს ოლქს. მხოლოდ ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში არის შესაძლებელი, რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიც არის საკითხი, თუ რომელი რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდეს ტერიტორიულად ესა თუ ის ცალკეული ოლქი და რაიონი, მოძმე რესპუბლიკებს შორის წყდება ყოველგვარი სიძნელის წამოუჭრელად, ერთსულოვნად და შეთანხმებულად, ხელმძღვანელობენ მხოლოდ და მხოლოდ იმ მოსაზრებით, მიზანშეწონილია თუ არა ეს ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის, ხელმძღვანელობენ საბჭოთა სახელმწიფოს საერთო ინტერესებით და მოძმე ხალხთა შორის მეგობრობისა და ნდობის შემდგომი განმტკიცების ინტერესებით.

მაშასადამე, ამ პრინციპული თვალსაზრისით შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივ წარდგინებას უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ. პრაქტიკული და პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით კი ეს წარდგინება სავსებით დასაბუთებულია.

ამიტომ მთლიანად ვუჭერ მხარს აქ შემოტანილ წინადადებას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცოს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი წარდგინება.

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

ამხანაგებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი წარდგინების გამო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკიდან უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ მოწმობს რუსი და უკრაინელი ხალხების ერთიანობისა და ურღვევი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა დიდ, მძლავრ ძმურ ოჯახში.

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ეს ღირსშესანიშნავი აქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სსრ კავშირში სუვერენული მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკების ურთიერთობას საფუძვლად უდევს ნამდვილი თანასწორუფლებიანობა და ურთიერთინტერესების ნამდვილი გაგება და პატივისცემა, რაც მიმართულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის აყვავებისაკენ.

ისტორიაში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის. წარსულში და განსაკუთრებით კაპიტალიზმის დროს სახელმწიფოთა ურთიერთობის თვით საფუძველია მისწრაფება ტერიტორიების მიტაცებისადმი, ძლიერ სახელმწიფოთა მისწრაფება — ხელში ჩაიგდონ სუსტი ქვეყნების ტერიტორიები.

მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პირობებში შეიძლება მოხდეს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ყველა ტერიტორიული საკითხის ასეთი სამართლიანი გადაწყვეტა, რომელსაც საფუძვლად უდევს სამეურნეო-ეკონომიური მიზანშეწონილობა მათი ხალხების სრული ურთიერთგაგების, მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის დროს.

უკრაინის შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემა წარმოადგენს სწორედ ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობის კონკრეტულ გამოვლინებას, მეგობრობისა, რომელიც მთელი თავისი 50 წლის ისტორიის მანძილზე გამოჭედა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ.

ყირიმის ოლქს თავისი ისტორიული განვითარების, ტერიტორიული და ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა სახელმწიფოსათვის. მტრებს შორეულ და ახლო წარსულშიც არაერთხელ უცდიათ წაერთმიათ რუსეთისათვის ყირიმის ნახევარკუნძული, გამოეყენებინათ იგი რუსეთისა და უკრაინის მიწების საძარცვავად და გასანადგურებლად, შეექმნათ იქ სამხედრო ბაზა რუსეთსა და უკრაინაზე თავდასასხმელად. მაგრამ რუსი და უკრაინელი ხალხები ერთობლივ ბრძოლაში ყოველთვის სასტიკად ამარცხებდნენ თავხედ დამპყრობლებს და აძევებდნენ ყირიმის ფარგლებიდან, რომელიც იყო და მუდამ იქნება საბჭოთა ციხესიმაგრე შავ ზღვაზე.

უკრაინა და ყირიმი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ეკონომიური ინტერესების ერთობით და ტერიტორიული სიახლოვით. მათ შორის სამეურნეო და კულტურული ურთიერთობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა და გაფრთიანდა.

უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემა, უეჭველია, კიდევ უფრო განამტკიცებს ამ ტრადიციულ ურთიერთობას.

ამხანაგებო! ეს მეგობრული აქტი ხდება იმ დღეებში, როცა საბჭოთა ადამიანები ზეიმით აღნიშნავენ შესანიშნავ ისტორიულ თარიღს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს, ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს არა მარტო უკრაინელი და რუსი ხალხებისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისთვისაც.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი უდიდესი საფუძველია, მისი უძლეველი ძალის, აყვავებისა და ძლიერების წყაროა. ჩვენ ვიცით და გვახარებს ის, რომ რუსი, უკრაინელი და ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა სხვა მოძმე ხალხები ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც განავითარებენ და განამტკიცებენ თავიანთ ძმურ ურღვევ მეგობრობას.

განმტკიცდეს და აყვავდეს ჩვენი საყვარელი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

სახელოვანი მეფოლადე

თანასოფლელები პურ-მარილითა და ლხენით აცილებდნენ თავიანთ შვილს. მხიარულობდნენ, ოხუნჯობდნენ კოლმეურნეები, გზას ულოცავდნენ. ერთმა გამცილებელმა თავსაფრის წვერით ჩუმად მოიწმინდა თვალის უპეები.

— შენ გენაცვალე, მაგას ნუ იზამ, კარგ გზაზეა დამდგარი ჩემი შვილი და ცრემლს ნუ დაალევნებ.

სიმკაცრეც იგრძნობოდა და ვედრებაც დედის სიტყვებში. დედაზე მეტად აბა ვინ ინაღვლებს პირშმოს განშორებას, მაგრამ „გული კარგს მეუბნება, ცრემლი არ დამანახვოთო“, გაიძახოდა იგი.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეები უკრაინაში მეტალურგიის შესასწავლად ისტუმრებდნენ ვანო მეტრეველს — ახლად ბუსუსაშლილ ლამაზ ჭაბუკს.

— „აბა, შენ იცი, ვანო!“ — მოკლედ უთხრა ელენემ და მაგრად ჩაიკრა მკერდში შვილი დამშვიდობებისას.

* * *

სიხარულით დაადგეს ფეხი ქართველმა ჭაბუკებმა ქვანახშირისა და ფოლადის სამფლობელოში — დონბასის მიწაზე. მეორე დღეს მარტენის გავარვარებულმა ღუმელმა თვალი მოსჭრა მეტრეველს, სახე აუწვა. გაოცებული შესცქეროდა ყველაფერს. სასწავლებლად ჩამოსულებს აცნობდნენ ქალაქ სტალინოს დიდ მეტალურგიულ ქარხანას. ქარხანა ის-ის იყო იწყებდა ომით მიყენებული მძიმე ჭრილობების მოშუშებას, რვიდან მხოლოდ ორი ღუმელი მუშაობდა. ერთ ღუმელთან ვანო შეაჩერა უცნობმა, რომელსაც ქუდზე სათვალე ჰქონდა დამაგრებული და სხვებს რაღაც განკარგულებებს აძლევდა. ჯერ ქართულ ხიზზე ჩამოუგდო ლაპარაკი, მერე ღვინოზე, ბოლოს უთხრა:

— ახლა თქვენ, ალბათ, შეგეკითხებიან, რომელ ხელობას აირჩევთო, უთხარ მეფოლადეობა მინდა, ოსტატ პეტროვთან გამაგზავნეთთქო, — წადი, არ ჩამორჩე ამხანაგებს, — უთხრა იმ კაცმა, მხარზე ხელი დაადო და გამურულ სახეზე უცნაურად მოელვარე ცისფერი თვალები სიყვარულით გააყოლა. ჩანს ფიქრობდა: ამისგან ნამდვილი მეფოლადე გამოვაო.

საღამოს საერთო საცხოვრებელში პირადმა იწვა ვანო, ფიქრობდა.

— რას იტყვი, ვალიკო, — თითქოს ჭერს ელაპარაკებაო, შეეკითხა ბოლოს ჭაბაშვილს, რომელიც მის გვერდით საწოლზე იწვა და მასავით ფიქრებს მისცემოდა. — ვითომ რამე გამოვა?

დიდხანს რომ პასუხი ვერ მიიღო, მერე ისევ თვითონ დაატანა, — არა, ძმაო, ეს თამბაქოს მოყვანა როდია, — მხიარულად ჩაიცინა — მგონი, ცოტა უფრო ძნელი უნდა იყოს. — ისევ ფიქრი განაგრძო. — მაინც რა თბილად შემხვდა ის კაცი, რა მზრუნველობით. მელაპარაკა, ალბათ თვითონ არის პეტროვი, — ნეტავ რა ნახა ჩემში.

* * *

მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა.

მარტენის საამქროში ახალი ცვლა მოვიდა.

— ეს რა მოგსვლია, ბიჭო? — შესძახა ვანომ ჭაბაშვილს ღუმელის მიღების დროს, — შეიხედე, — ვალიკომ ქუდიდან ლურჯი სათვალე ჩამოიწია და ღუმელის სარკმელში შეიჭვრიტა. გავარვარებულ არეში დინასის გამდნარი აგურის მასა ჭერზე ყინულის პატარა ლოლუებივით ჩამოკიდებულიყო. შეწუხდა მეფოლადე ჭაბაშვილი.

დროზე რომ არ მოესწროთ, ღუმელის თაღი გადაიწვებოდა, ეს კი დიდი მინუსია მეფოლადის მუშაობაში. სწრაფად მიიღო ზომები მეტრეველმა, თაღიც გადაარჩინა და დნობაც ნორმალურად წავიდა.

დიდხანს აღარც ვალიკო წასულა საამქროდან. დონბასის ამბები მოიგონეს ახალი რუსთავის სახელოვანმა მეფოლადეებმა.

— გახსოვს, — ეუბნებოდა მეტრეველი, — ოსტატი პეტროვი და მეფოლადე გერასიმოვი როგორ ჩაგვჩიჩინებდნენ, ბიჭებო, თაღს უყურეთ, თაღი არ გადაწვათო?

სტალინოს და მაკეევკის მეტალურგიულ ქარხნებში გაიარა პრაქტიკული ცხოვრების დიდი სკოლა ივანე მეტრეველმა. იქ ჯერ მეფოლადის მეორე დამხმარედ მუშაობდა, შემდეგ პირველად. პირველი დამოუკიდებელი დნობა კი რუსთავში განახორციელა — 1950 წლის დეკემბრის ერთ დაუვიწყარ დღეს. მას შემდეგ ფოლადის ჩქაროსნული დნობის ოსტატის სახელი მოიხვეჭა. იგი 10 საათის ნაცვლად ზოგჯერ 7 საათსა და 30 წუთშიც კი იღებს ფოლადს.

* * *

...იანვრის უკანასკნელი დღეა. რუსთავში სუსხიანი ნიავი უბერავს. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის სამმართველოს წინ ზღვა ხალხს მოუყრია თავი, კიდევ ემატებიან. წინასაარჩევნო კრების დაწყებას უცდიან მეტალურგები.

ბორტებგადახსნილი დიდი სატვირთო მანქანის ძარა სახელდახელო ტრიბუნად უქცევიათ.

ტაშმა და ვაშამ რამდენჯერმე შეარხია გათოშილი ჰაერი. ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად თავის კანდიდატებს ასახელებდა.

ბოლოს სიტყვა ქარხნის დირექტორმა ნ. გომელაურმა აიღო.

კრება სმენად იქცა.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ ჩვენი კოლექტივის საამაყო წევრს, ჩქაროსან მეფოლადეს ივანე ალექსის-ძე მეტრეველს.

თანხმობის ნიშნად მომსკდარი ტაში ნიავმა მოიტაცა და ტალღასავით გადაატარა რუსთავის ველი.

ახდა დედის სიტყვა. კარგ გზაზეა დამდგარი მისი შვილი.

ს. ხარაზიშვილი.

ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

ტყიბულში კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 631 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების ინჟინერ-ტექნოლოგს რუსუდან დავითის ასულ კახაძეს.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის ლენინის № 404 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს მიხეილ გერასიმეს-ძე ჩიქოვანს.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გაგრის № 401 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ქუთაისის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველ მდივანს ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძეს.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების კალინინის № 402 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გრიგოლ შაგოს-ძე არძინბას.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გივი აკაკის-ძე წითლიძეს, რომელიც კენჭს იყრის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჩოხატაურის № 131 საარჩევნო ოლქში. (საქდესი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

ქამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. დ. გ. მერაბიშვილის სიტყვა

წითლის მტს-ის დირექტორი

ამხანაგებო! იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა, მტს-ებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ. ეს კარგად ესმით წითლის მტს-ის მუშაკებს. ისინი ძალებს არ იშურებენ, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის წარმოების აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო სოფლის ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის ბრძოლაში.

გასული წლის საწარმოო დავალება ჩვენმა მტს-მა 112,2 პროცენტით შეასრულა, ამასთან დაზოგილ იქნა 108 ტონა საწვავი. განსაკუთრებით გამოჩინეს თავი იმ სატრაქტორო ბრიგადებმა, რომლებსაც გამოცდილი მექანიზატორები შ. მოსაშვილი, ა. ელიზბარაშვილი და ი. თარაშვილი ხელმძღვანელობენ.

ჩვენი მექანიზატორები სერიოზულ მუშაობას ეწევიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის. ჯერ კიდევ 1953 წლის მაისში შეექმნით სპეციალური სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც საკვების დამზადება დაევალა. ამ ბრიგადამ მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულა თავისა და ჩალის დამზადების დავალებანი. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სილოსის ჩადებისა და საკვები ბალახების თესვის გეგმები. ამჟამად საკვების ზიდვასა და დაჭრაზე 17 ტრაქტორი მუშაობს.

წელს მეცხოველეობის საკვები ბაზის გაფართოებისათვის ვიკისრეთ კონკრეტული ვალდებულებანი.

კვანძური მეთოდის გამოყენებით ვადამდე და მაღალი ხარისხით დავამთავრეთ ტრაქტორების, მისაბმელი იარაღებისა და კომბაინების რემონტი. საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებისათვის სრულ მზადყოფნაშია 64 ტრაქტორი, 31 კომბაინი და 49 სათესი მანქანა.

ჩვენი მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებს საგაზაფხულო თესვისათვის უკვე მზადა აქვთ სათანადოდ შემოწმებული თესლი. წელს სათოხნ კულტურებს მთლიანად კვადრატულ-ბუდობრივი წესით დავთესავთ. ამ პროგრესული წესით თესვის ორგანიზებულად და მაღალნაყოფიერად ჩატარების უზრუნველსაყოფად სერიოზული მუშაობა გავწიეთ: მექანიზატორების დასახმარებლად მოვაწყეთ სემინარი, კვალიფიკაციის ასამაღლებლად 8 კაცი მივავლინეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მტს-ის სახელოსნოში დავამზადეთ სპეციალური გუთანი კარტოფილის დასათესად.

მტს-ების მუშაკთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვის პასუხად ჩვენი მტს-ის მექანიზატორები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ კრასნოდარის მხარის მედვედოვსკის მტს-ის მუშაკებთან. ამ მტს-ს, როგორც ცნობილია, დიდი გამოცდილება აქვს საკოლმეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის, კერძოდ სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის საქმეში. მოწინავე მტს-თან შეჯიბრება დიდ მოვალეობას გვაკისრებს. ჩვენი კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს იგი.

მუშაობაში გვაქვს ნაკლოვანებებიც. ჯერ კიდევ ყველა პირობა ვერ შევქმენით პირუტყვის კარგად გამოზამთრებისათვის. მთელ რიგ ფერმებთან საკმარისი რაოდენობით არ იყო მიზიდული როგორც უხეში, ისე კონცენტრირებული საკვები. მტს-ის სპეციალისტები ეშვიათად მიდიან მეცხოველეობის ფერმებში, ნაკლებ დახმარებას უწევენ მათ.

სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ კოლმეურნეობებთან შექმნილი აგროტექნიკური სწავლების ჯგუფების მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. მეცადინეობა არარეგულარულად ეწყობა. მტს-ის ნორმალურ მუშაობას დიდად უშლის ხელს ის, რომ არა გვაქვს მუშათა საერთო საცხოვრებელი, არ არის კლუბი, აბანო და ნაგებობანი საწყობებისათვის. მათი შენებლობა მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული არ არის.

ჩვენი მტს-ის კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უახლოეს დროში გამოასწოროს თავისი მუშაობის ყველა ნაკლი და შეიტანოს ღირსეული წვლილი პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში.

ამხ. მ. ი. კუჭავას სიტყვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ამხანაგებო! საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, თავდადებულად იბრძვიან კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

მაგრამ პარტიული, საბჭოთა ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

მინდა დელეგატების ყურადღება შევაჩერო რამდენიმე საკითხზე.

ამიერკავკასიის რკინიგზის იმ განყოფილებათა მუშაობის ანალიზი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობენ, მოწმობს, რომ მათს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. თუმცა ტვირთბიდვის გეგმა 1953 წელს საერთოდ შესრულდა, მაგრამ ჩამლილია 24 სახელოწოდების ტვირთების გადაზიდვის გეგმა, მათ შორის შავი და ფერადი ლითონებისა, ხე-ტყისა, მატყლისა, ხორცისა, საკონდიტრო ნაწარმისა და სხვ. განსაკუთრებით დამფიქრებელია ის გარემოება, რომ გზის განყოფილებებმა იანვარში და თებერვლის განვლილ დღეებში მუშაობა გააუარესეს. დატვირთვის გეგმა სისტემატურად შეუსრულებელი რჩება. ამაში ბრალი მიუძღვით ძირითადად სამინისტროებსა და უწყებებს, კერძოდ, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტრესტებს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საწარმოებს და თევზის მრეწველობის საწარმოებს, რომლებიც ურიგდებიან სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმების შეუსრულებლობას და, ბუნებრივია, არ აწვდიან ტვირთებს რკინიგზას.

არადამაკმაყოფილებლად არის გამოყენებული მოძრავი შემადგენლობა, რაშიაც ბრალი მიუძღვის პირველ რიგში გზის ხელმძღვანელობას, აგრეთვე მთელ რიგ საწარმოთა და უწყებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც არ აწყობენ სადღეღამისო სატვირთო ოპერაციებს და ხუხშად ახლვევენ ვაგონების დატვირთვისა და განტვირთვის სახელმწიფო ნორმებს.

რკინიგზაზე ჯერ კიდევ დაძლეული არ არის ავარიებისა და მუშაობაში წუნის შემთხვევები, ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას შრომის დისციპლინა.

პარტიულმა, საბჭოთა, პროკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა რკინიგზის პოლიტგანყოფილებებთან ერთად უფრო ფართოდ უნდა გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას თავიანთი მოღვაწეობის უმაღლეს კანონად მიაჩნიათ ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ამ ზრუნვის ერთ-ერთი გამოვლინებაა პარტიისა და მთავრობის შეუსუსტებელი ყურადღება მშრომელთა საკურორტო მომსახურების საკითხებისადმი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩატარებული მნიშვნელოვანი მუშაობის შედეგად საქართველოს კურორტებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს უმდიდრესი საკურორტო რესურსები სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის გამოყენებული.

საკმარისია ითქვას, რომ ყველა ჩვენს კურორტს როდი აქვს განვითარების გენერალური გეგმები და მათი გაშენება უსისტემოდ წარმოებს. არ არის ჯეროვანი ზრუნვა კურორტების კეთილმოწყობისათვის. კურორტები წყალტუბო, ახალი ათონი, ქობულეთი, აბასთუმანი, თბილისის საგარეუბნო და მთელი რიგი სხვა კურორტები დამაკმაყოფილებლად ვერ მარაგდებიან სასმელი წყლით.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროელნი, ზოზინით ახორციელებს კურორტების გადაყვანას მთელი წლის მუშაობაზე. მთელი წლის მუშაობაზე გადასვლით ჩვენ შეგვიძლია გავადიდოთ და კიდევაც უნდა გავადიდოთ სანატორიუმების გამტარუნარიანობა წელიწადში 3.000 კაცით.

საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველოს სისტემაში საჭიროა შეიქმნას ტექნიკურად აღჭურვილი სამშენებლო - სარემონტო ორგანიზაცია. მოიჯარე ორგანიზაციები, რომლებიც ახალ მშენებლობასა და კაპიტალურ რემონტზე ყოველწლიურად 20 მილიონამდე მანეთს ხარჯავენ, სამშენებლო სამუშაოებს ასრულებენ ვადის უნეში დარღვევით, დაბალ დონეზე.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა განსაზღვრა სკოლების მუშაობის ხასიათი და მიმართულება. სახალხო განათლების ორგანოებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა მცირე წარმატებებს როდი მიაღწიეს კომუნისტური საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ მშენებელთა აღზრდის საქმის დაყენების გაუმჯობესებაში.

ამასთანავე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე. მოსწავლეთა აკადემიური წარმატება ძალიან ნელა იწევს მაღლა. საკმარისია ითქვას, რომ გასულ სასწავლო წელს საგაზაფხულო გამოცდების შედეგად ყოველი მეოთხე მოსწავლე მეორე წელს დარჩა კლასში ან განმეორებითი გამოცდა მიიღო. მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის მარტო ქალაქ თბილისში სწავლაში ჩამორჩებოდა მოსწავლეთა 16 პროცენტი.

ჩვენი რესპუბლიკის სკოლებმა ვერ უზრუნველყვეს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულება. ბევრ რაიონში მოგვარებული არ არის სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა. მაგალითად, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონში (სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე ამხ. ცქიტიშვილი) გასულ სასწავლო წელს აღრიცხული იყო 837 ბავშვი, რომლებიც პირველ კლასში უნდა შესულიყვნენ, ფაქტიურად კი 1 სექტემბერს სკოლებში გამოცხადდა 1.285.

უნდა ვაღიაროთ, რომ რესპუბლიკის სკოლები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილი კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. პედაგოგებს ნაკლებად უწევენ დახმარებას პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სახალხო განათლების ორგანოები, პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი.

სკოლისგარეშე მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგად მოსწავლეთა შორის იშვიათი როდია ხულიგნური ქცევის შემთხვევები.

მთელ რიგ სკოლებში მასობრივ ხასიათს იღებს მოსწავლეთა დაგვიანება გაკვეთილებზე და სკოლიდან დროზე ადრე წასვლა.

არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა სახალხო განათლების ორგანოების, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი, სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა.

კომუნისტური პარტია საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას, მას უფრო მოქნილს, ხალხის ინტერესების შესაფერისს ხდიდა. ცნობილია, თუ რა დიდად ზრუნავდა დიდი ლენინი სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი სახელმწიფოებრივი, აგრეთვე პარტიული აპარატები განსახილველად გამოსატანი საკითხების რაოდენობის გამოდევნებაში, ფაციფუცში, ყოველგვარი მოხსენებითი ბარათების, ცნობებისა და ინფორმაციების შედგენაში ნაწილობრივ ჩამოშორდნენ პრაქტიკულ, ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და სასწავლებლებში.

პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის ნაკლოვანებებს განსაკუთრებით გრძნობენ ჩვენი რაიონული მუშაკები, რომლებსაც უხდებათ მრავალრიცხოვანი ცნობების, ანგარიშებისა და ინფორმაციების წარმოდგენა. აშკარად უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს, როცა ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობას აფასებენ განხილულ საკითხთა და მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის მიხედვით.

ამოცანა ის არის, რომ გადაჭრით გარდავქმნათ პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობა, სახელმწიფო და პარტიული აპარატები მივუახლოოთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, საწარმოების, სასწავლებლების მუშაობის საკითხთა უშუალო პრაქტიკულ გადაწყვეტას. დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აპარატის მუშაკებს. ისინი უნდა დაეუფლონ ხელმძღვანელობის ხელოვნებას, ისინი კარგად უნდა იცნობდნენ და ახორციელებდნენ საბჭოთა კანონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის 20 წლისთავი

★

მისალმებანი სახელოვან იუბილარს

მოსკოვიდან

სსრ კავშირის დიდი თეატრის დირექცია, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები კოლექტივის სახელით გულწრფელად მოესალმებიან თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელობას, შემოქმედებითს კოლექტივს ოცი წლის იუბილეს დღეს.

ხანაევი, მელიქ-შაშაევი, იაკობლევი, პოკროვსკაია, სახაროვი, რინდინი.

* * *

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი იუბილე დღესასწაულია **საბჭოთა** თეატრის ყველა მუშაკისათვის, რადგან იგი მოწმობს ცხოველმყოფელ ძალას, რაც ახასიათებს ჩვენს ხელოვნებას, რომელიც საბჭოთა ხალხას იდეოლოგიური აღმზრდელის კეთილშობილურ როლს ასრულებს. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი თეატრალური მოღვაწეობა თქვენი კოლექტივისა, რომელიც ღირსეულად ატარებს დიდი რუსი რეალისტი მწერლის ა. ს. გრიბოედოვის სახელს. მხურვალედ გილოცავთ სიპელოვან იუბილეს და მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ შემდგომშიც მაღლა ატარებთ მოწინავე საბჭოთა ხელოვნების დროშას.

საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის კოლექტივის დავალებით
გენერალ-მაიორი პაშა,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი,
სტალინური პრემიის ლაურეატი
ალექსი პოკროვი.

* * *

გულწრფელად ვულოცავთ გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის ნიჭიერ კოლექტივს სახელოვან ოცი წლისთავს. ვუსურვებთ ახალ შემოქმედებითს წარმატებებს საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

მოსკოვის მაიაკოვსკის სახელობის თეატრის დირექტორი
კარმანოვი,
მთავარი რეჟისორი ოხლოპკოვი.

* * *

ლენინგრადიდან

ლენინგრადის კომედიის თეატრი მხურვალედ ულოცავს გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივს სახელოვან იუბილეს. გისურვებთ შემოქმედებითს მიღწევებს შემდგომ მუშაობაში.

თეატრის დირექტორი გოროდეცკი.

* * *

კიევიდან

კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი გილოცავთ სახელოვან იუბილეს. გისურვებთ ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

დირექტორი შევჩენკო.

* * *

გაქოდან

რუსული დრამის თეატრის კოლექტივი გულწრფელად მოგილოცავთ ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის მუშაკებს ოცი წლისთავის დღეს და გისურვებთ შემდგომ შემოქმედებითს გამარჯვებებს საბჭოთა ხელოვნების საკეთილდღეოდ.

მიაკიშევი, სტეპანოვი, კოლოსოვი, ზევიტი.

* * *

ვლადივოსტოკიდან

ზღვისპირეთის გორკის სახელობის სამხატვრო თეატრის კოლექტივი გულთბილად მოგილოცავთ სახელოვან ოცი წლისთავს. წყნარი ოკეანის ნაპირებიდან მზიურ საქართველოში ვუგზავნით ამხანაგებს დიდი შემოქმედებითი გამარჯვებების სურვილებს მშობლიური საბჭოთა ხელოვნების სადიდებლად.

კოლექტივის დავალებით
დირექტორი გურსკი,
მთავარი რეჟისორი ბონდარევი,
პარტბიურო მდივანი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. ლოკტინი.

ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისათვის!

ხვალ თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული თეატრი აღნიშნავს თავისი არსებობის 20 წლისთავს. გულწრფელად მივესალმები თეატრის მთელ კოლექტივს ამ დიდმნიშვნელოვან დღეს.

რუსულ სცენაზე ვმუშაობდი ცარიზმის მძიმე წლებშიც, როდესაც მსახიობები მოხეტიალე, დაბეჩავებულ ცხოვრებას ეწეოდნენ, მაგრამ მაშინაც მეზნეებარედ ტვიფარი რუსული თეატრი, რუსული კულტურა. ახლა, როდესაც თეატრების მუშაკები გარემოსილი ვართ პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, ყოველ საბჭოთა მსახიობს ნათელი მომავალი და ფართო პერსპექტივები აქვს გადაშლილი.

წლების მანძილზე ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის მუშაობას და ვხედავთ, როგორ იზრდება, მტკიცდება, უფრო ნაყოფიერი ხდება და მაყურებლის დამსახურებული სიყვარულით სარგებლობს იგი.

სულით და გულით ვულოცავ ძვირფას კოლექტივს და მთელ თეატრს, რომელშიც ბევრი ჩემი სცენის მეგობარია, სახელოვან დღესასწაულს.

ვუსურვებ მათ ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს!

ე. დონაური-მარჯანიშვილი,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

საიუბილეო საღამო

ორშაბათს, 1 მარტს საღამოს 7 ს. 30 წ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის 20 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო.

შესავალი სიტყვა — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ა. ბუნია.

მოხსენება—გრიბოედოვის სახელობის თეატრის გავლილი გზა — თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე.

მისალმებანი.

დასასრულ კონცერტი.

ვ. მინკოს „გვარის დაუსახელებლად“. სცენა III მოქმედებიდან.

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუშაკთა ჯგუფი: (მარცხნიდან მარჯვნივ) სხედან — რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. სპერანსკაია, ა. სმირნოვა, ლ. ვრუბლევსკაია, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ა. თაყაიშვილი, ე. სატინა, კ. მიუფკე, ა. სმირნინი; დგანან: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ბ. ბელეცკაია, კ. დობჟინსკი, დ. სლავინი, ვ. ზახაროვა, ა. ნირავანოვი, ი. მაქსიმოვა, ს. სმოროდინცევი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ლენინაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ბ. ვიაზემსკი, მ. პიასეცკი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ზაგორსკი.

ფოტო ვლ. გიზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

◁ ★ ▷

ხალხის სამსახურში

თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივი დღესასწაულობს თავისი არსებობის 20 წლისთავს.

ჩვენთვის ამ დიდმნიშვნელოვან, საზეიმო დღეს მხურვალე სიყვარულისა და ღრმესი მადლობის გრძნობით მივმართავთ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, ჩვენს მშობლიურ, გმირ ხალხს — საბჭოთა ხელოვნების — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ჰუმანური ხელოვნების შემოქმედსა და სულისჩამდგმელს. გულწრფელი, მხურვალე მადლობის გრძნობით გამსჭვალული ვართ მაყურებლისადმი. მაყურებელი ხომ თეატრის განუყოფელი, ორგანული ნაწილია, რომლის ყურადღებამ და მზრუნველობამ სერიოზული გავლენა მოახდინა ჩვენს ზრდა-დავაჟკაცებაზე.

არსებობის 20 წლისთავზე ჩვენი თეატრის კოლექტივი თვალს ავლებს თავის წარსულს, აჯამებს გავლილი გზის შედეგებს, რომ უფრო გაბედული შემოქმედებითი აქტივობით წავიდეს წინ და უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების წინაშე მდგომი კეთილშობილური ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

საქართველო — ერთ-ერთი უძველესი, მდიდარი კულტურის მქონე ქვეყანაა. მრავალი საუკუნის ისტორია აქვს ქართულ თეატრსაც. მისი საწყისები შორეულ წარსულშია. ისევე როგორც ჩვენი ქვეყანა, მისი კულტურაც, ხელოვნებაც წარსულში მტრების მიერ მრავალჯერ აოხრებული, იავარქმნილია, მაგრამ მაინც არ კვდებოდა და თავის ეროვნულ სახეს ინარჩუნებდა.

იმის შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ისტორიული ბედი დიდი რუსი ხალხის ბედს, მის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. საქართველო დაცული ჩანდა გარეშე მტრების ვერაგული თავდასხმისაგან, აღმოსავლეთელი დესპოტების გამანადგურებელი შემოსევებისაგან. უფრო მეტად ვითარდებოდა ქვეყნის საწარმოო ძალები. საქართველო ეზიარა დიდი რუსი ხალხის კულტურას. იწყება კულტურულ ძალთა აღორძინება, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მძლავრი აყვავება.

ქართველი ახალგაზრდების ნაწილი განათლებას იღებს მოსკოვის, პეტერბურგისა და რუსეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოში იქმნება პირველი მუდმივი ბეჭდვითი ორგანიები. ვითარდება ქართული ლიტერატურა, თავის უკვდავ ნაწარმოებებს ქმნიან ა. ბესელიძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი. ბუნებრივი და აუცილებელი ხდება ქართული თეატრის აღდგენა და ამ მისიას 1850 წელს ასრულებს გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, დრამატურგი და მსახიობი გიორგი ერისთავი.

მანამდე, ჯერ კიდევ 1845 წელს თბილისში მოქმედება დაიწყო მუდმივმა რუსულმა თეატრმა. არსებობს ცნობები, რომ უფრო ადრეც თბილისში ხშირად იმართებოდა სცენისმოყვარეთა სპექტაკლები. მეფისნაცვალი კავკასიაში ვორონცოვი და რუს მოხელეთა რეაქციული წრეები ცდილობდნენ გამოეყენებინათ რუსული თეატრი მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის მიზნებისათვის. მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. პირიქით, რუსულმა თეატრმა, დიდი რუსი ხალხის ამ ერთ-ერთმა უმშვენიერესმა და უკეთილშობილესმა კულტურულმა ქმნილებამ, სულიერად გაამდიდრა საქართველოს კულტურა და კეთილყოფილი გავლენა მოახდინა ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინებაზე.

თბილისში მუდმივი რუსული თეატრის პირველი ორგანიზატორი იყო უკრაინელი გიორგი იაცენკო, რომელიც წინათ სტავროპოლის დასს ხელმძღვანელობდა. შემდეგში თბილისის რუსული თეატრის საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა დიდი რუსი მსახიობი მ. შჩეპკინი, რომელიც თბილისის თეატრს ეხმარებოდა დასის შექმნაში.

თავისი შექმნის დღიდან რუსულ თეატრს საქართველოში არსებობა არ შეუწყვეტია. სხვადასხვა დროს თბილისის რუსული თეატრის სცენაზე გამოდიოდნენ სცენის ისეთი თვალსაჩინო ოსტატები, როგორიც იყვნენ მ. ერმოლოვა, მ. სავინა, გ. ფედოტოვა, ვ. დავიდოვი, ო. პრავდინი, ა. ლენსკი, კ. ვარლამოვი, ბ. სტრეპეტოვი, ვ. კომისარჟევსკაია, ა. იაბლოჩკინი, ძმები ადელგეიმები, ნ. ორლენევი, ე. ეიხარევა და სხვები. აქ დაიწყეს თავიანთი სცენიური საქმიანობა გამოჩენილმა თეატრალურმა მოღვაწეებმა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ, ა. სუმბათაშვილმა-იუჟინმა და სხვებმა.

რუსული თეატრის დიდი რეალისტური ტრადიციები შემოქმედებითი ხელოვნებისა და ოსტატობის ნაყოფიერი, ღრმა და მნიშვნელოვანი გაღმავითარებისათვის. რუსულ თეატრში გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ ქართული თეატრის თვალსაჩინო ოსტატები: კ. მარჯანიშვილი, ა. წუწუნავა, გ. მჭედლიშვილი და სხვები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ქართული და რუსული თეატრების წინაშე ახალი გრანდიოზული ამოცანები და პერსპექტივები დაისახა. საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლები თეატრალური კულტურის მძლავრი აღმავლობით ხასიათდება. ქართული თეატრი თავის ისტორიაში წერს ახალ, ოქროს ფურცელს, რომელიც დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სახელთან და შემოქმედებითს მუშაობასთან არის დაკავშირებული.

დიდი გამოცოცხლება დაეტყო თბილისის რუსულ თეატრსაც. მოწინავე თეატრად იმ პერიოდში ითვლებოდა აკადემიური რუსული თეატრი, რომლის ხელმძღვანელი იყო გამოცდილი რეჟისორი ა. ტუგანოვი. ამ თეატრში მუშაობდნენ თვალსაჩინო რუსი მსახიობები, აგრეთვე ქართველი მსახიობები, რომლებიც შემდეგ ქართულ თეატრში გადავიდნენ სამუშაოდ. ესენი იყვნენ გ. დავითაშვილი, ე. დონაური, გ. ხარჩიმელიძე და სხვები. მთელი რიგი დადგმები რუსულ აკადემიურ თეატრში განახორციელა ა. წუწუნავამ.

1933 წლის 15 ნოემბერს საბჭოთა დრამატურგის პრუტის პიესის „მამაცი თავადი მსტისლავი“ დადგმით აღინიშნა ახლადშამოყალიბებული რუსული დრამატული თეატრის მოღვაწეობის დასაწყისი. 1934 წელს მას ალექსანდრე სერგიძე გრიბოედოვის სახელი მიეკუთვნა. სწორედ ამ თეატრს 20 წელი შეუსრულდა. ამ დროის განმავლობაში მან 160 ახალი დადგმა განახორციელა, უჩვენა 6.500 სპექტაკლი, მოემსახურა 5.200.000 მაყურებელს. ეს ციფრები ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის მთელი კოლექტივის დიდ, ნაყოფიერ შემოქმედებითს გზას ასახიერებს.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თეატრის შემოქმედება თავისი იდეურ-მხატვრული შინაარსის მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი, ღრმა და მნიშვნელოვანი გახდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 26 აგვისტოს ისტორიული დადგენილების შემდეგ — „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებისა და იდეოლოგიურ საკითხებზე პარტიის სხვა გადაწყვეტილებათა შემდეგ თანამედროვეობის ამსახველმა პიესებმა თეატრის რეპერტუარში ძირითადი ადგილი დაიკავა. 1946 წლის შემდეგ განხორციელებული 67 დადგმიდან 40 საბჭოთა ინამდვილეს ასახავს.

რეპერტუარში მტკიცედ დამკვიდრდა რუსული კლასიკური დრამატურგია, მ. გორკის, ნ. გოგოლის, ა. გრიბოედოვის, სუხოვო-კობილინის, ა. ოსტროვსკის, ა. ჩეხოვის ნაწარმოებები. ქართულ დრამატურგიასაც საპატიო ადგილი უკავია. თეატრის სცენაზე სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“, ი. ვაკელის „დიდი მოურავი“, ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, ვ. დარასელის გმირული დრამა „კიკვიძე“, რომელიც მაყურებელთა დიდი სიყვარულით სარგებლობს.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოძმე ხალხთა დრამატურგების საუკეთესო ნაწარმოებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოძმე საბჭოთა უკრაინის დრამატურგთა პიესები, რომლებსაც წლების მანძილზე წარმატებით დგამს თეატრი. ესენია ა. კორნეიჩუკის „ესაკრის დაღუპვა“, „პლატონ კრეჩეტი“, „ბანერი“, „ძახველის ქალა“, „მაკარ დუბრავა“. შემთხვევითი არ ყოფილა უკრაინელი კლასიკოსის ლესია უკრაინკას პიესის „ქვის მბრძანებლის“, აგრეთვე ვ. მინკოს პიესის „გვარის დაუსახელებლად“ დადგმა გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე. ყოველივე ეს მკაფიოდ მეტყველებს მოძმე საბჭოთა ხალხების ურყევ მეგობრობასა და კულტურულ ურთიერთობაზე.

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის შემოქმედებითი მუშაობის საფუძველია სოციალისტური რეალიზმის მეთოდი.

სპექტაკლების იდეურ-მხატვრული ხარისხის ამაღლებაში, აგრეთვე თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის და ახალგაზრდა მსახიობების კადრების აღზრდაში დიდი დამსახურება მიუძღვის თეატრის მთავარ რეჟისორს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ალექსანდრე თაყაიშვილს. ნაყოფიერად მუშაობს თეატრში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი გ. ლენინაშვილი, აგრეთვე ახალგაზრდა რეჟისორი მ. ოლშანიცკაია.

18 წელია ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრში ენერგიულად შრომობს ნიჭიერი მხატვარი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ირინე ტენბერგი, რომელმაც გააფორმა თეატრის უმშვენიერესი სპექტაკლების უმრავლესობა. აღსანიშნავია ახალგაზრდა მხატვრის ე. დონცოვის მუშაობაც.

მაყურებლის დიდი სიყვარული დაიმსახურეს მთელმა რიგმა შესანიშნავმა მსახიობებმა, რომლებიც თეატრის შემოქმედებითს კოლექტივში მრავალი წელია მუშაობენ. ესენი არიან რესპუბლიკის სახალხო არტისტები: ე. სატინა, რომელიც 35 წელია ეწევა საქართველოში ნაყოფიერ შემოქმედებითს, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას; ა. სმირნინი, კ. მიუფკე, ა. ზაგორსკი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ბ. ბელეცკაია, ლ. ვრუბლევსკაია, ნ. სპერანსკაია, ვ. ზახაროვა, კ. დობჟინსკი, ბ. ვიაზემსკი, მ. პიასეცკი, ა. სმირნოვა, ი. ოხიპოვი, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ნიჭიერი ოსტატები.

თეატრის არსებობის პირველივე დღიდან ენერგიულად მუშაობენ სადადგმო ნაწილის გამგე — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ალექსანდროვი, თეატრის დირექტორის მოადგილე თ. შენდეროვი, რეჟისორის თანაშემწე ხ. კუბარევი, მოკარნახე ი. როდიონოვი, ელექტრო-ხაამქროს გამგე ე. ალბოგსკი, კოსტიუმების ხაამქროს გამგე ნ. გრუდნინსკაია, სამკერვალო ხაამქროს გამგე ა. ბურდენი, საგრიმორო ხაამქროს გამგე ქ. პაპაიანი და ტექნიკური მუშაკები პ. პაფრინნი და ზ. პისკლოვი.

აღსანიშნავია ნიჭიერი ახალგაზრდობა — თვალსაჩინო წარმატებას აღწევენ მოსკოვის მცირე აკადემიური თეატრის აღზრდილნი პ. ლუსპეკაევი, აგრეთვე ნ. ტროიანოვი და ი. კირილოვა.

თეატრის კოლექტივი ძირითადი შემოქმედებითი მუშაობის გარდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა. იგი ემსახურება საბჭოთა არმიას, პრაქტიკულად ეხმარება მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს, კულტურულ შეფობას უწევს კრწანისის საბჭოთა მეურნეობას და ა. შ. მთელ კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული, რომ მის საქმიანობაში ყველაფერი რიგზე როდია, ჯერ კიდევ სერიოზული მუშაობის გაწევა იქნება საჭირო საბჭოთა ხალხის

ა. ს. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. სცენა II მოქმედებიდან.

ჩვენი პირველხარისხოვანი ამოცანა

20 წელი! ეს თარიღი უფლებას გვაძლევს შეავჯამოთ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე თეატრის — გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო თეატრის სასახელო მუშაობის შედეგები.

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრი თავისი არსებობის მანძილზე სერიოზულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა როგორც თვით თეატრში, ისე მის გარეთ.

დიდი სამამულო ომის წლებში თეატრის მუშაკები არა მარტო მხატვრული სიტყვით, არამედ იარაღით ხელში ფრონტზე, საბჭოთა არმიის რიგებში იცავდნენ სამშობლოს ფაშისტ დამპყრობთაგან. ვოლინეცმა, მალოვმა, შატალინმა, ტუგან-ბარანოვსკიმ, ლემერმა თავიანთი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს.

მოწინავე პოზიციებზე, მიწურებში და სახელდახელოდ მოწყობილ სცენებზე ხშირად გასმოდა ჩვენი თეატრის მსახიობების — ბ. ბელეცკაიას, ევსტრატოვას, შველევის, ლიბინიცკის, ბურო მესხიშვილის მეზნებარე ხმა.

თეატრის მთელი კოლექტივი მუდამ შემოქმედებითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესებით ცხოვრობს, ეხმაურება თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს. მის საქმიანობაში მნიშვნელოვანია მსახიობთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის როლი. უმრავლესობა გაერთიანებულია სხვადასხვა წრეში, სემინარში, სადაც ღრმად სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, პარტიის ისტორიას.

გარკვეულ წარმატებათა მიუხედავად ჯერ კიდევ შესასრულებელი გვაქვს დიდი საუშაო მსახიობთა აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი პირველხარისხოვანი ამოცანაა შემდგომ ავამაღლოთ, სრულყოთ შემოქმედებითი მუშაკების ოსტატობა, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო მაღალიდეური, მაღალმხატვრული სპექტაკლები ვუჩვენოთ მომთხოვნ, მაღალი გემოვნების მქონე საბჭოთა მაყურებელს.

დ. ხლაბინი,
უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი, თეატრის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

შემოქმედებითი აღმავლობის გზით

მიყვარს გრიბოედოვის სახელობის თეატრი

თეატრი, კულტურის ეს დიდი კერა, ბავშვობიდანვე მიყვარდა და მიტაცებდა. შეიძლება ამიტომაც არის, რომ იგი თავიდანვე ორგანულად შევიდა ჩემს ბიოგრაფიაში, თითქმის იქ ავიდგი პირველად ფეხი, იქიდან დავიწყე ცხოვრების ფართო შარაზე გამოსვლა. თეატრის ყოველი გახსენება თბილი და მეელვარე განცდებით მავსებს, თვალწინ მიცოცხლებს იმ მძიმე და მადლმოსილ შრომას, რომელსაც უანგაროდ ეწეოდნენ სასცენო ხელოვნების ჩვენი ძველი მოღვაწენი. მათ თავიანთი ტანჯვა-წამებით ბედნიერების გზა გაკაფეს მომავალი თაობისათვის.

თეატრი ძველ დროში ყოველი მხრიდან საშინელ დევნას განიცდიდა, დამხმარე კი არსაიდან იყო. მხოლოდ მსახიობები და მწერლები განამტკიცებდნენ ერთმანეთთან კავშირს და თანაბრად ეწეოდნენ საერთო ჭაპანს.

ამ რთულ პირობებში ჩაისახა აგრეთვე ის ძმური მეგობრობა რუსულ და ქართულ თეატრებს შორის, რაც ასე გაიფურჩქნა ჩვენს დიად ეპოქაში კომუნისტური პარტიის შთაგონებითა და ხელმძღვანელობით.

რუსი და ქართველი აქტიორი მუდამ ერთმანეთს მხარში უდგნენ და ეზიარებდნენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს... თუ ჩვენმა სასცენო ხელოვნებამ წარსულში წარმატებას მიაღწია, ამას ამ დიად კავშირსაც უნდა ვუმადლოდეთ.

გრიბოედოვის სახელობის თეატრი, რომელიც ჩვენი ხალხის მეგობრის დიდი რუსი მწერლის სახელს ატარებს, განაგრძობს ხალხთა შორის ძმობის საუკეთესო ტრადიციას. ამ თეატრს, რომელიც საბჭოთა წლებში შეიქმნა, ფრიად თვალსაჩინო წარმატებები აქვს. ჩვენ გვიზიდავს მისი ხალასი რეალიზმი, ნიჭიერ მსახიობთა ღრმა შთაგონებითა და ეშვიათი ზომიერებით აღბეჭდილი თამაში. გრიბოედოვის სახელობის თეატრი ცდილობს თავის დადგმებში დაიცვას და განაგრძოს სამხატვრო და მცირე თეატრის შემოქმედებითი სტილი, დაიცვას ის სისადავე და უბრალოება, რაც სცენიურ მოქმედებას, აქტიორთა შესრულებას ცხოვრების სიმართლესა და ღრმა ადამიანობას აძლევს.

მე მუდამ აღმაფრთოვანებს ამ თეატრის კოლექტივის ანსამბლის მთლიანობა, რაც აუცილებლად პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებისა და დაუღალავი შრომის შედეგია.

მიყვარს გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი! ვუსურვებ მას ახალ წარმატებას!

ი. გრიშაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

გისურვებთ წარმატებას!

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის 20 წლისთავი მნიშვნელოვანი თარიღია საბჭოთა საქართველოს სოციალისტური კულტურის განვითარების ისტორიაში.

გრიბოედოვის სახელთან მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ძალების დემოკრატიული სულისკვეთებით განვითარება, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ დარაზმვა.

საქართველოს შრომელი ხალხი და მოწინავე ინტელიგენცია ყოველთვის მადლიერების გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი დიდი რუსი ხალხის მოწინავე შვილების, მისი კულტურის მიმართ, ოდესღაც ჰუმანურ, დემოკრატიულ იდეებზე აღიზარდა ჩვენი სამშობლოს მთელი თაობები. ეი ამიტომ ჩვენთვის, საბჭოთა საქართველოს თეატრალური ხელოვნების მუშაკთათვის, ასე ახლობელია თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული რუსული თეატრის მოღვაწეობა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შშობლიური თეატრალური კულტურის სულიერ საგანძურში.

საბჭოთა კულტურის აყვავება წარმოუდგენელია რუსული თეატრის კეთილმყოფელი გავლენის გარეშე. ამ საპატიო მოვალეობას ქართული თეატრალური ხელოვნების წინაშე ღირსეულად ასრულებს გრიბოედოვის სახელობის თეატრი, მისი ნიჭიერი კოლექტივი, რომელთანაც მჭიდრო მეგობრული შემოქმედებითი კავშირი გვქონდა, გვაქვს და გვექნება. რუსული და ქართული თეატრები მუდამ მხარდამხარ იბრძოდნენ ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხის საკეთილდღეოდ, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის, თეატრალური ხელოვნების გაფურჩქნისა და აყვავებისათვის.

სულითა და გულით ვუსურვებ გრიბოედოვის სახელობის თეატრის მუშაკებს მრავალ წარმატებასა და შემოქმედებითს სიხარულს.

აკაკი ბასაძე,
რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

მაყურებლის სურვილი

მაყურებელი მუდამ სიამოვნებით დადის გრიბოედოვის სახელობის თეატრში, მოხიბლულია სპექტაკლების დადგმის მაღალი კულტურით, ნიჭიერ მსახიობთა ოსტატობით, სცენიდან მუდამ ჯანსაღ აზრებს ისმენს, უკვირდება ოსტატურად გამოკვეთილ სახეებს და მათი ცხოვრების მაგალითთან სწავლობს. იძენს გამოცდილებას, იზრდება იდეურად და კულტურულად. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით თეატრის მსახიობებს, რეჟისორებს, მთელ კოლექტივს, რომელიც ოცი წელია დაუღალავად ემსახურება საბჭოთა მაყურებლის კომუნისტური აღზრდის საპატიო და კეთილშობილურ ამოცანას.

მაყურებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს უკანასკნელ პერიოდში დადგმული სპექტაკლები „კიბეები“, „ფეგაროს დაუსახელებლად“, „კიკვიძე“ და „ვაი ჭკუისაგან“. თვითეულ მათგანში მაყურებელს ხიბლავს ღრმა, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის იდეები, ამ იდეების შესანიშნავი მხატვრული გახსნა, მსახიობთა თამაშის მაღალი ოსტატობა, გულწრფელობა. ყველა ჩვენგანს გული სიხარულითა და სიამაყით ევსება, როცა ამა თუ იმ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დარბაზში მქუხარე ტაში გაისმის. ამაში გამოხატულია მაყურებლის მხურვალე მადლობა თეატრის კოლექტივისადმი, მისი თვითეული წევრისადმი.

რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობის განმტკიცებაში დაუვიწყარია საქართველოში არსებული რუსული თეატრების, კერძოდ, გრიბოედოვის სახელობის თეატრის ღვაწლი. მაყურებელი დარწმუნებულია, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში იგი კვლავ ენერგიულად განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას და ახალ, სასახელო ფურცლებს ჩაწერს თავის შემოქმედებითი ზრდის ისტორიაში.

ვუსურვებთ იუბილარი თეატრის კოლექტივს ახალ წარმატებებს.

გ. თვალაძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის ა. ი. ვიშინსკის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტად გამოსცა სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის ა. ი. ვიშინსკის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე.

როგორც აღნიშნულია წერილში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, იმოწმებს რა გენერალური მდივნის მემორანდუმს ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-17 სესიის წინასწარი დღის წესრიგის შესახებ, იუწყება, რომ სსრ კავშირის დელეგაციის ამ სესიაზე შეაქვს წინადადება შეტანილ იქნას სესიის დღის წესრიგში საკითხი „საერთაშორისო ვაჭრობაში სიძნელეთა აღმოფხვრა და საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საშუალებანი“.

სსრ კავშირის წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სთხოვს გენერალურ მდივანს გადასცეს საბჭოს ეს წინადადება, რათა განიხილოს იგი მე-17 სესიაზე დღის წესრიგის დამტკიცებისას.

წერილს დართული აქვს სსრ კავშირის დელეგაციის განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია ეს წინადადება.

განმარტებითს ბარათში ნათქვამია:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დელეგაციას, ეკონომიური და სოციალური საბჭოს პროცედურის წესების შესაბამისად, შემოაქვს წინადადება, რომ მე-17 სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას საკითხი „საერთაშორისო ვაჭრობაში სიძნელეთა აღმოფხვრა და საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საშუალებანი“, როგორც დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო ხასიათის საკითხი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების მიხედვით და, კერძოდ, ხელმძღვანელობს რა წესდების 55-ე და 56-ე მუხლებით, რომლებიც ეხება ეკონომიური და სოციალური დარგის საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას, სსრ კავშირის დელეგაციას დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ მომავალ მე-17 სესიაზე განიხილოს ეს საკითხი და მიიღოს რეკომენდაციები, რომელთა მიზანია სიძნელეთა აღმოფხვრა საერთაშორისო ვაჭრობაში და ერთა შორის მშვიდობიანი მეგობრული ურთიერთობის გაფართოება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ამასთან ითვალისწინებს, რომ ვაჭრობა ყველა ქვეყანას შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარების საღი და მტკიცე საფუძველია, მიუხედავად ამ ქვეყნების ეკონომიური და სოციალური სტრუქტურის განსხვავებისა.

აგრეთვე ცნობილია, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში სიძნელეთა აღმოფხვრა და ეკონომიური და სოციალური საბჭოს მიერ კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება საერთაშორისო და ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და განმტკიცებდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დელეგაციას, შემოაქვს რა წინადადება, რომ ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-17 სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას საკითხი „საერთაშორისო ვაჭრობაში სიძნელეთა აღმოფხვრა და საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საშუალებანი“, ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ ამ საკითხის კონსტრუქციული განხილვა ხელს შეუწყობს ყველა ქვეყნის ინტერესებს, ყველა ხალხს შორის საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებასა და მშვიდობის საქმის განმტკიცებას“.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის განცხადება ბერლინის თათბირის შესახებ

ბერლინი, 26 თებერვალი. (საკდესი). აღნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს:

23 თებერვალს გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სხდომაზე მიღებულ იქნა განცხადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის გამო. განცხადებაში ნათქვამია:

საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა გერმანელ ხალხს შესაძლებლობა მისცა გაეგო, თუ ვინ არის გერმანელი ხალხის მეგობარი და ვინ არის მისი მტერი. თათბირის მსვლელობამ ცხადყო, რომ გერმანიის ეროვნული გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე, თუ გერმანელი ხალხი ამას თავის საკუთარ ხელში აიღებს.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვ. მ. მოლოტოვის კონსტრუქციული წინადადებანი შეესაბამებიან მილიონობით გერმანელის ნებას აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში. „პოლიტიკოსები აღენაუერის კოალიციიდან, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში. — ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ჩაეშალათ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევა და იგი უშედეგო გაეხადათ. ისინი ფარულ თამაშს ეწეოდნენ დალესთან და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ გერმანელი ხალხის ხმა არ გაგონთ. ისინი სდევნიდნენ ყველა გერმანელს, ვინც სათავეში უდგას ხალხს და იბრძვის მილიტარიზაციისა და ფაშიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, ერთიანობისა და მშვიდობისათვის“.

„ბერლინის თათბირმა ცხადყო, — აღნიშნულია დასასრულ განცხადებაში,—რომ ძალის პოლიტიკა განწირულია ჩასაშლელად. მოლაპარაკება შესაძლებელია. ვ. მ. მოლოტოვის წინადადებებში გერმანელ ხალხს ნაჩვენები აქვს ბედნიერი მომავლის გზა. გერმანელი ხალხი უახლოეს მომავალში იქნის ამ გზით, თუ იგი გერმანიის გაერთიანებული მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ბოლოს მოუღებს ადენაუერის პოლიტიკას და თავის ხელში აიღებს გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხს. ამით შეტანილ იქნება დიდი წვლილი ევროპის უშიშროებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში“.

ინგლისი-ეგვიპტე

ინგლისელ-ეგვიპტელ მოლაპარაკებათა ახალი ციკლი

კაირო, 26 თებერვალი. (საკდესი). ინგლისელ-ეგვიპტელ მოლაპარაკებათა ახალ ციკლს ხელმძღვანელობენ ინგლისელ-ეგვიპტეთის ერთობლივ ბჭეთა